პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროექტი

მონაცემების ანალიზის ანგარიში

აგვისტო, 2019 წელი

ჩეხეთის კარიტასისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის - სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება პირველად ჯანდაცვაში - 2019 წლის 1-31 აგვისტოს პერიოდში საპილოტე დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი.

1-დან 31 აგვისტომდე პროექტის 5 საპილოტე დაწესებულებიდან გადმოცემულია სულ 25123 ვიზიტის მონაცემი, რაც შეესაბამება 7447 უნიკალურ პაციენტს (ანუ აგვისტოს თვეში საშუალო უტილიზაცია შეადგენდა 3,4 ვიზიტს/პაციენტზე).



მონაცემთა კოლექტორში გადმოცემული უნიკალური ბენეფიციარების ასაკობრივი განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ.



უტილიზაციის მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება ცალკეულ დაწესებულებებს, მონაცემები შემდეგია: კურაციოდან 17612 ვიზიტი/4267 პაციენტი (უტილიზაცია 4), საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრიდან 5231 ვიზიტი/2399 პაციენტი (უტილიზაცია 2,2), მედკაპიტალიდან 152 ვიზიტი/85 პაციენტი (უტილიზაცია 1,8), ჰოლდინგი 23-დან 2128 ვიზიტი/696 პაციენტი (უტილიზაცია 3).



მონაცემები სამწუხაროდ არ არის წამოსული კლინიკა „მედიკორიდან“, რადგანაც მათ ელექტრონულ სისტემაში ტექნიკური ხარვეზია, რომლის გამოსწორებაც ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. არასრულყოფილია ასევე მედკაპიტალიდან გადმოცემული მონაცემები, კერძოდ 152 ვიზიტი არ შეესაბამება დაწესებულების რეალურ დატვირთვას, რაც გაცილებით უფრო მაღალია და ამის მიზეზი არის ის, რომ ექიმები ვერ ახერხებენ ელექტრონულ ისტორიაში და ქაღალდურ ვერსიაში ერთდროულად მუშაობას. კურაციოდან მონაცემები აღარ მოდიოდა 17 აგვისტოს შემდეგ, რადგანაც აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირი სექტემბრამდე შვებულებაში იყო, ხოლო სექტემბრიდან უნდა განახლდეს ჩვეულ რეჟიმში. ჰოლდინგ 23-იდანაც მონაცემები გადმოცემულია 1-ლ და 9 აგვისტოს, შემდეგი კვირების მონაცემები არ გვაქვს. აღსანიშნავია, რომ საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრიდან მონაცემები უკვე მოდის რეგულარულ რეჟიმში და ერთადერთი დაწესებულებაა, რომელმაც აგვისტოს დატვირთვა სრულყოფილად გადმოგვცა.

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ხარისხის ინდიკატორებს, მწეველობის სტატუსის შეფასებასთან დაკავშირებით სმეც-ს გარდა სხვა დაწესებულებებში მონაცემების დაფიქსირება არასრულყოფილად ხდება, ასევე პრობლემაა გლუკოზის გაზომვასთან მიმართებაში დიაბეტის, გიდ-ისა და ჰიპერტენზიის შემთხვევაში.

დიაბეტის, გიდ-ისა და არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზებით განხორციელებული 2872 ვიზიტიდან 417 ვიზიტზე დაფიქსირდა არაკონტროლირებული არტერიული წნევა (სისტოლური წნევა ≥ 140მმ ვწყ სვ), ხოლო მთლიანად მომართულ პაციენტებში 1557 ვიზიტზე დაფიქსირებულია მაღალი არტერიული წნევა. ანალიზი ცალკეული დაწესებულებების მიხედვით იხილეთ ქვემოთ.

1. საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი - პერიოდი 1-30 აგვისტო 2019



2. მედკაპიტალი - საანგარიშო პერიოდი 1-21 აგვისტო, 2019 წელი



3. კურაციო, საანგარიშო პერიოდი 1-17 აგვისტო, 2019 წელი



4. სამედიცინო ჰოლდინგი 23, საანგარიშო პერიოდი 1-9 აგვისტო, 2019



სამედიცინო მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები ცალკეული საპილოტე დაწესებულების მიხედვით, აგვისტო 2019

მონაცემი	საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრი	მედკაპიტალი	კურაციო	ჰოლდინგი 23
ვიზიტების რაოდენობა	5231	152	17612	2128
უნიკალური პაციენტი	2399	85	4267	696
შაქრიანი დიაბეტი	360	23	109	49
ჰიპერტენზია	379	43	1193	214
გიდ	332	17	84	33
ფქოდ	36	3	30	3
ასთმა	30	0	23	16
სხვა	4174	66	15499	1814
წნევა გაიზომა	4180	142	578	2129
წნევა გაიზომა დიაბეტის დროს	321	23	13	49

წნევა გაიზომა ჰიპერტენზიის დროს	339	43	67	214
წნევა გაიზომა გიდ-ის დროს	327	17	4	33
მწეველობის სტატუსი შეფასდა	1103	0	218	0
მწეველი	836	0	137	0
ყოფილი მწეველი	93	0	14	0
არამწეველი	174	0	67	0
კონსულტირება ჩატარდა მწეველობაზე	1094	0	16938	0
გლუკოზა გაიზომა	299	0	4	496
გლუკოზა გაეზომა დიაბეტის დროს	46	0	1	0
გლუკოზა გაიზომა ჰიპერტენზიის დროს	7	0	1	43
გლუკოზა გაიზომა გიდ-ის დროს	14	0	0	0
სისტოლური წნევა ≥140	663	79	89	702
სისტოლური წნევა ≥140 დიაბეტის დროს	54	14	4	11
სისტოლური წნევა ≥140 ჰიპერტენზიის დროს	100	22	26	118
სისტოლური წნევა ≥140 გიდ-ის დროს	55	9	0	3
იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥90	16	13	16	49
იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥90 დიაბეტის დროს	0	2	1	2
იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥90 ჰიპერტენზიის დროს	1	7	3	16
იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥90 გიდ-ს დროს	10	0	0	1